სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო-გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины

ახლად გამართული რესტორანი
„იუჟნი ნომერა“
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად ბ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი უოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30—8) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა“.
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს შარაანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის“ ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—16)

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—30)

თანახმად წერილებით თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილისა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო რამდენადაც-კი შეიძლება ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება—ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასებად:

| | |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი . . . . . | 1— „ |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . | „—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი. . . | „—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) . . | „—20 |
| თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმ., I ტომი | „—70 |
| იგივე . . II ტომი | „—60 |
| იგივე . . III ტომი | „—60 |
| იგივე . . IV ტომი | „—80 |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . . . . | „—10 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | „—60 |
| იგივე ტომი II . . . | „—60 |
| თხზ. რ. ერისთავისა ტომი I | „—60 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . . . | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . | „—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო, ვ. პოტტოსი . | „—20 |
| აივენგო, ვალტერ სკოტისა . | „—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში . . . . | „—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით | „—15 |
| სამზარეულო ქართულ და ევროპიული საჭმელებისა . . | 1—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . . | 1—50 |
| სიბრძნე ბალავარისა . . . | „—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . | „—80 |
| დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . | „—10 |

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობა 14 მანეთად. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯს 1 მან, გამოუგზავნიან.

ამ ფასად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად:
1894 და 1895 წლ.—7 მან. და 1896 და 1897 წლ.—5 მანეთად.

მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე“-ზე ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ;
(100—97)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
შელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—30)

ქ. ქუთაისი
ამ წლის ენკენისთვეში
უფასო სამკითხველოს
ფონდისთვის
გამართული იქნება
ვაჭრობა-გაზრობა
დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.
(12—3) ელენე ჯინოშვილისა

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი,

საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ,

# ახალი ამბავი

—

*** ბათომის ქალაქის არჩევნების შესახებ. ქალაქის რჩევამ უკვე გამოაცხადა სია ამომრჩეველთა. ამ სიით 640 ამომრჩეველია, ამათში რუსი, პოლონელი და გერმანელნი 160, ქართველი 190, ქართველი მაჰმადიანი 85, სომეხი 180 და სხვა და სხვა დაწესებულებათ წარმომადგენელი 24.

უმრავლესობა რასაკვირველია ქართველებს ეკუთვნის, რადგან ქართველ მაჰმადიანებთან ერთად 255 ხმა ექნებათ. წარსულ არჩევანებშიაც ასე იყო და იმიტომაც არც ერთი სომეხი არ იქმნა ხმოსნად ამორჩეული.

იმ დროს ძალიან გამწვავებული იყო ქართველი საზოგადოება ტფილისის ქალაქის არჩევნებით; აქ დაუშინეს შავი ქართველებს და ბათუმშიაც ქართველობამ პასუხი გასცა.

საუბედუროდ ასეთი გამწვავება კიდევ სუფევს ჩვენს საზოგადოებაში, რადგან შარშან ტფილისის საბჭოში სომხებმა არც ერთი ქართველი არ გააჭაჭანეს.

მიუხედავად ამ გამწვავებისა, ჩვენ მსურველნი ვართ, რომ ბათომის მომავალი არჩევნების დევიზი არ იყოს „რევანში“ ე. ი. სომხების სულ განძევება საბჭოდან.

ჩვენ ვამბობთ სულ ე. ი. ვინც კარგია და ქალაქისათვის სარგებლობის მოტანა შეუძლია უნდა ამოირჩიონ.

შურის და სიძულვილის ასაშორებლად ჩვენ ვისურვებთ ბათომმა ამოირჩიოს ყველა კარგი ხმოსანი, მიუხედავათ იმისა, სომეხია, რუსი, პოლონელი თუ გერმანელი.

*** ახალი დანიშნულება. ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანამდებობაზე ბ. ტირიუტინის გადაყვანის გამო, როგორც ისმის, დანიშნულია სამოსამართლო თანამდებობის უფროსი კანდიდატი ბ. გეორგიზონი.

— ტფილისის ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი გრ. ვ. დანილოვი, რომელიც დანიშნულ იქმნა ტფილისის სამაზრო განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლედ, აბარებს საქმეებს და ამ დღეებში შეუდგება თავისი თანამდებობის ასრულებას.

*** ჟანდარმის ხოვრუნას დაჭრის საქმე, რომელიც ბრალდებათ გორის მაზრის თავ. გ. ა. შალიკაშვილსა და ივ. ის. მამაცაშვილს, გადვიდა განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლის ე. ა. რიბინსკის ხელში, რომელიც მალე გაემგზავრება საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად. ბრალდებულნი ამ ჟამად დატყვევებულნი არიან მეტეხის ციხეში.

*** სამგზავრო ფასების გადასინჯვა. როგორც ისმის, რუსეთის რკინის გზების სამგზავრო ფასების გადასინჯვა საბოლოოდ გადაწყვეტილია ამ წლის შემოდგომის დამდეგისათვის. გადაისინჯება მოკლე მანძილის, არა უმეტეს 300 ვერსის, ფასები. სამგზავრო ბილეთების ახალი ფასები, როგორცა სჩანს, შემოღებულ იქმნება მომავალი წლის დამდეგიდან.

*** მეშჩანთა და ხარჯის ამკრებ მამასახლისების არჩევნები. 26 ივლისს სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში დანიშნულია მეშჩანთა და ხარკის-ამკრეფ მამასახლისების, მათი კანდიდატების და აგრეთვე მეშჩანთა დეპუტატების არჩევნები.

*** თავ. გურიელის მოკვლის განზრახვის საქმე. 17 ივლისს ტფილისის სამოსამართლო პალატაში, ბრალდებულის სტ. გურგენიძის განსაჩივრების ძალით, განხილულ იქმნა თავ. დავ. გურიელის მოკვლის განზრახვის საქმე. როგორც მოგეხსენებათ, მომჩივანის შვილი თავ. ი. დ. გურიელი და ირ. თავართქილაძე, რომელთაც ამ საქმეში ბრალი ედებოდათ, ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიერ გამართლებულ იქმნენ, ხოლო სტ. გურგენიძეს მიესაჯა ციმბირში გადასახლება. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი თავ. ი. დ. გურიელისა და ირ. თავართქილაძის შესახებ, ხოლო სტ. გურგენიძეს ციმბირის მაგივრად სატუსაღო მიუსაჯა.

*** ქსენონ-სამკურნალოები სოფლად. აღძრულია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სოფ. ქედში არსებული სასოფლო ქსენონი გადაკეთებულ იქმნეს სასოფლო სამკურნალოდ და დაარსებულ იქმნეს სოფ. ხულოსა, სხაითსა და ქობულეთში ახალი ქსენონები.

*** ხელოსანთა გამგეობის რევიზია. ტფილისის გუბერნატორმა მიანდო საგანგებო მინდობილებათა მოხელეს თავ. ა. ბებუთოვს, გაუკეთოს რევიზია ხელოსანთა გამგეობის ფულების საქმეს და გამოიკვლიოს გამგეობის მოსამსახურე პირთა საჩივარი ჯამაგირების მიუღებლობაზე.

*** ფოთი. ახალი გემი ფოთსა და ჭალადიდს შუა. ჩვენმა ქალაქის მოურავმა საცდელათ შემოიღო პატარა გემით (Катеръ) მიმოსვლა ფოთსა და ჭალადიდს შუა და მიუხედავად იმისა, რომ ყველანი იმას გაიძახდნენ ეგ საქმე ზარალის მეტს არას მოგვიტანსო, დღეს საქმე საუცხოვოდ მიდის: ყოველ დღე კარგა შემოსავალი შემოაქვს ქალაქის სასარგებლოდ. სასურველია რომ ერთის მაგიერად რამდენიმე მაგისთანა პატარა გემები (კატერები) შეიძინოს ქალაქმა. მაშინ ეჭვი არ არის ქალაქის კასაც ცოტათი მოღონიერდება და რაც უფრო საგულისხმოა გზა და ბაზარი მიეცემა მთელი ჭალადიდის ნაწარმოებს.

—ანი

*** თელავი. ქალთა ამხანაგობის საქმენი. 1896 წ. ბ. ილ. ზარაფიშვილის მეცადინეობით დაარსდა ქალთა ამხანაგობა, რომლის წევრებად იყვნენ თელავის მოზარდი ქალები. პირველად ქალთა ამხანაგობის საქმე კარგად მიდიოდა ბ. ზარაფიშვილის თავმჯდომარეობით, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენებურმა უთანხმოებამ აქაც იჩინა თავი. ქალთა ამხანაგობა გაიყო ორ დასად. პირველ ჯგუფში ერივნენ აქაური თავადიშვილის ქალები, ხოლო მეორეში მომეტებულ ნაწილად მოქალაქის ქალები. ამ ორ ჯგუფ შუა გაიმართა კამათი. ამ ჩხუბის მიზეზს არ დავასახელებთ. პირველმა ჯგუფმა მიიწვია ყმაწვილ კაცობა, ამათ დახმარებით გამართეს რამდენიმე წარმოდგენა, აღებული ფულით დააარსეს სახელოსნო-სამკერვალო, დაიბარეს ქალები და ასწავლიან ჭრა-კერვას. ამ ჯგუფის წევრნი ჯერ-ჯერობით მუდამ დღე დაიარებიან და ქალებს ასწავლიან წერა-კითხვასაც. არც მეორე ჯგუფის საქმე მიდიოდა ცუდათ ბ. ილ. ზარაფიშვილის თავჯდომარეობით. მუდამ კვირა მართავდნენ კრებებს, კითხულობდნენ სხვა და სხვა წიგნებს მორიგობით და გონებითაც ვითარდებოდნენ. სულ ცოტა ხანში მათ დაარსეს ქარხანა, სადაც ასწავლიდნენ აბრეშუმის ამოხვევას და მოქსოვა მანქანებზე. აგრეთვე ფარდაგის მოქსოვას და სხვა და სხვ. აქვე იყო პატარა სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას რუსულათ და ქართულათ. საღმრთო სჯულს, ანგარიშს და სიმღერა გალობას. ერთ თვეზე ისე შეისწავლეს ქართული გალობა, რომ ეკკლესიაშიაც გალობდნენ. სწორედ კარგად მიდიოდა ამათი საქმე, მაგრამ ისევ აირივნენ.. თუ ჩვენი ამხანაგობა ქალთა ამხანაგობაა, ჩვენში მამა კაცი არავინ უნდა ერიოსო. მართლაც, ბ. ზარაფიშვილის მაგივრად აირჩიეს თავმჯდოიარეთ ქალი და განაგრძეს თავიანთი საქმე, მაგრამ თავმჯდომარეს შიში და რიდი არავის ჰქონდა; აიშალნენ, დაიშალნენ, ორ ბანაკად გაიყვნენ ესენიც და დღეს ამათი ქარხანა დროებით დაკეტილია და მუშაობა შეჩერებულია. იმედია ბ. ილ. ზარაფიშვილი როცა დაბრუნდება სოფლიდამ შემოდგომაზე, რა ჰნახავს ასეთ მდგომარეობაში ქალთა ამხანაგობის საქმეს, ისევ თითონ იკისრებს ამ საქმეს, მოიხმობს სუყველა წევრებს, შეარიგებს და განაგრძობს მუშაობას, თორემ თელავის ქალთა ამხანაგობა ისე გაძრიელდა, რომ სამ დასათ გაიყო და მეოთხეც მოსალოდნელია!!!

თელაველი

*** ს. აკეთი (გურია). წიგნთსაცავის შესახებ. 1892 წელს ს. აკეთში ბ. არსენ წითლიძის და ისიდორე რამიშვილის თაოსნობით დაარსდა წიგნთ-საცავი, სახელწოდებით: „გურიის სახალხო წიგნთსაცავი“. ეს ის დრო იყო, როდესაც მთელს გურიაში არც ერთს სოფელში ტ თვით სამაზრო ქალაქშიაც კი წიგნთ-საცავი არ არსებობდა. ამ ახლად დაარსებულ წ.-საცავს პირველ ხანებში, შეძლებისა და გვარად, თითქმის უმეტესი ნაწილი მთელის გურიის ინტელიგენტთა შემწეობას აძლევდა, ვინ ფულით და ვინ წიგნებით; რედაქციებიც უფასოდ გვითმობდნენ თავიანთ გამოცემებს, თუმცა თვით ს. აკეთიდან წ.-საცავს ბევრი წევრი არ ჰყოლია, მაგრამ, ვინაიდგან მას თითქმის ყოველის მხრიდან შემწეობა ჰქონდა. ამისათვის საქმე წ.-საცავისა ძლიერ კარგათ მიდიოდა, საუბედუროთ ჩვენ წ.-საცავს მალე მოაკლდა ყოველის მხრიდან მზრუნველობა, წევრებმა როგორც იყო ორი წლის განმავლობაში იხადეს თავიანთი საწევრო ფული, შემდეგ კი შესდგნენ და ჩვენს წიგ.-საცავს შემწეობაზე უარი განუცხადეს, გარდა ორის თუ სამი წევრისა. რა იყო ამის მიზეზი? ამ კითხვაზე შემიძლია ვთქვა შემდეგი: არ გასულა ორი წელიწადი აკეთის წ.-საცავის, დაარსების შემდეგ და გურიაში კიდევ რამდენსამე საზოგადოებაში დაარსდა წ.-საცავები. დღეს გურიაში თითქმის ყოველ საზოგადოებაში წ.-საცავი არსებობს, ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ყველამ თავიანთ საზოგადოებაში დაარსებულ წიგნთ-საცავს დაუწყო მოვლა-პატრონობა. რა თქმა უნდა გურიის სახალხო წიგნთ-საცავს სხვა საზოგადოებიდან წევრი აღარ ეყოლებოდა, რის გამო საჭირო იყო წ.-საცავის შენახვა ეკისრნათ თვით აკეთელებს. ამაზე ბ. გამგემ

წ.-საცავისამ ჯამლეთ ბაქუნაიშვილმა საზოგადოების წინაშე წარმოსთქვა ის აზრი, თუ რამდენათ საჭიროა, რომ წ.-საცავს რაც შეიძლება ბლომათ ჰყავდეს წევრი თვით ს. აკეთიდან და დღეიდან ხამს გულშემატკივრობა გაუწიოს ყველამ, ამაზე საზოგადოებამ თანაგრძნობა განაცხადა მით, რომ ოცდა-თვრამეტამდის წევრებათ ჩაეწერნენ და წ.-საცავს აღუთქვეს ყოველწლიური შემწეობა ფულათ. ვინ 1 მ., ვინ 2 მ., ვინ 3 მ., და ვინ 5 მ., თუ ეს პატივცემული პირები თავიანთ საწევრო ფულს ყოველ წლობით გადიხდიდნენ, რასაკვირველია საქმე წ.-საცავისა ყოველთვის კარგათ იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ ყველა წევრმა ვერ განახორციელა თვისი დაპირება, მაგალითად წარსული 1897 წლის საწევრო ფული ჯერაც გადუხდელი აქვს თოთხმეტ წევრს. ამა 1898 წ. საწევრო ფული, ოცდა-თვრამეტ წევრში მხოლოდ ექვს კაცს აქვს გადახდილი. იმედია ყველა ის პატივცემული პირები რომლებსაც სიაზე ხელი უწერიათ დაწევრებათ ითვლებიან, რაც შეიძლება, მოკლე ხანში გადიხდიან თავიანთ საწევრო ფულს, რითაც წ.-საცავის საქმე აღარ შეფერხდება და კვლავ განაგრძობს კეთილ მდგომარეობაში ყოფნას. წელს ჟურნალ-გაზეთობა ბლომათ გვაქვს და მკითხველიც ბევრი ჰყავს, მაგრამ თუ წევრები დროზე ფულს არ გადიხდიან, მომავალ წლიდგან ყველა ჟურნალ-გაზეთობას ველარ გამოვიწერთ და ამითი საქმე უკან დაიხევს.

წევრი წიგნთ-საცავისა კოწია ქეიშვილი

*** **დ. აბაშა** (სამეგრელო). **სხვა და სხვა ამბები.** დ. აბაშიდან სამი ვერსით მოშორებულ დაბა სუჯუნაში იარმარკამ თუმცალა წაიგვარიანა წასულ წელზე, მაგრამ დაბოლოვება კი ხანჯლის ტრიალით და კაცის დაჭრით დაბოლოვდა, რაზედაც გამოძიება სწარმოებს.

ჩვენს აბაშაში კი ივლისის სიცხემ მრავალი არევ-დარევა გამოიწვია: ზოგი ქორწილს მართავს და ზოგი ქალს იტაცებს; ქორწილსაც უჩხუბრათ არ ჩაუვლია: ერთმა კუდაბზიკა აზნაურშვილმა სიბრაზის გამო, კაცს რომ ვერაფერი ვერ უყო, ერთის მოქნევით ძაღლს თავისი ნაქები ხმალი გადაამტვრია! საბრალო პირუტყვი ისე არ დაშავებულა, როგორც თავ-მომწონეს ხმალი...

აქ სამ ამ თვეს ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა, გვარათ ლიპარტიამ, მოიტაცა ლამაზი თოფურიას ქალი. მოტაცება საუცხოვოდ მოხდა: მოტაცებული ქალის და ქალმა მომხიბლავი მოტყუებით მიუყვანა პაემანზე სასიძოს თავისი შეყვარებული; ეფექტის მისაცემათ ცოტა ძალადიანობა იქმნა გამოწვეული, მაგრამ ეტლმა გააქროლა სოფელში ორივე არსებანი...

მეორე დღეს დილას ქალის დედმამა ადგილობრივი ბოქაულით თავს დაესხნენ შეყვარებულებს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე ერთმანეთის თანხმობით საქმე კეთილად დაბოლოვდა...

აქეთ ყანები ჯერ ნახევრამდის ყველგან გაუმარგლელია უდროვო დროს წვიმების და გლახა ამინდების გამო, რამაც საშინლათ დააღონა მუშა ხალხი.

ვინც უნდა ვიყო

*** **ს. ბახვი** (გურია). განმარტება. წავიკითხე „ცნობის ფურცლის“ №576-ში ვიღაც უცნობის კორესპონდენტის სიტყვები: „გასულის წლის დეკემბრის თვეში „ქვედა ბახველებმა“ შეწევნითა ღვთისათა დავამთავრეთ ჩვენზედ მიწერილი ეკკლესიის შენობის შეკეთება. მას შემდეგ აგერ მეექვსე თვე გადის და აქ თითქმის სულ არ წარმოებს წირვა-ლოცვა. ეს სამრევლო ოთხმოცი კომლისაგან შესდგება და უწირვა-ლოცვობით კი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი ხალხი“. მე, როგორც ადგილობრივი მღვდელი შემეხება ეგ სიტყვები, ამისათვის გთხოვ ბ. რედაქტორო, სიმართლის აღსადგენლად ადგილი მისცეთ ჩემს განმარტებას. ზემო აღნიშნული წერილი არის უოველივე სიმართლეს მოკლებული. ეკკლესია (ქვის შენობა) თუთხმეტი წელიწადი არის აშენებული, იმას გადაკეთება დასჭირდებია ჯერ; მართალია, გასულ წელიწადში რამდენიმე მხატვრობა შეაკეთეს ეკკლესიაში სხვაგან მონაბოჭავი ფულით, მაგრამ თითქმის კეთების დროსაც კი არ შეწყვეტილა წირვა-ლოცვა და როცა შეკეთება დასრულდა, შემდეგ კი ერთი უქმი დღეც არ ჩავარდნილა უწირავოთ. იტყვიან „თუ თავი არ თქვით, ბოლოს ვერ გაიგებს კაციო“. ბახვის ეკკლესია არის ორ შტატოვანი; გამწესებული ვართ ორი მღვდლები—ერთი მღვდელი შტატის ეკკლესიაზე წირავს და მეორე კი ფედ მიწერილზე. ასე რომ თუ სნეულობამ არ შეიპყრო ერთი ჩვენთაგანი უველა უქმეებზედ ორივე ადგილზე წირვა-ლოცვა არის. მე ვარ გამოწესებული აქეთ სამი წელიწადი, სწორედ ამ სამ წელიწადში ორჯერ არ იყო იმაზედ მიწერილ ეკკლესიაზედ წირვა-ლოცვა, ამის მიზეზი იყო ჩვენი ავადმყოფობა. თუ კი ახეთი მორწმუნე იყო ბ. კორესპონდენტი, რატომ არ ამობძანდა იმ ორ წირვა-ლოცვის მოსასმენლად შტატის ეკკლესიაზედ, რომელიც მდებარეობს ერთი ვერსის მანძილზედ მიწერილიდგან, რომელთა შორის არ არის მდინარე და გზა ტბეცილი არის, რაიცა შეეხება იმას, რომ ეს სამრევლო ოთხმოცი კომლისაგან შედგება, ესეც მოგონებაა, ორმოც მოსახლეზედაც არ მიდის კომლის რიცხვი, მაშასადამე, არც ერთი სიტყვა მოამბისა არ არის მართალი და საკვირველია რამ აიძულა მოამბე ასეთს უმართლო საქციელზე.

აპოლონ ქიქოძე.

## რედაქციისაგან

**ქუთაისში** ერთს ნოქართაგანს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ქუთაისში** ბ. ალექსიძეს. თქვენი წერილის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

**ნიგოითში** კონტს. თქვენი საჭირო განმარტება ვერ დაიბეჭდება.

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

**ლექცია, წაკითხული ილია ფერაძის მიერ ქართული ენის სწავლების შესახებ.** ჩვენ ამ ლექციას მოკლედ გადმოგცემთ იმ იმედით, რომ ის ოდესმე ვრცლად დაიბეჭდება ქართულს ენაზე.

საღმრთო განგებამ მიანიჭა რუსეთსო,—დაიწყო ლექტორმა—ამ მესამე რომს, რომ ევროპა და აზია ერთმანერთთან მჭიდროთ დაეკავშირებინა; აზიაში მუსულმანებისაგან შერყეული ქრისტიანობა გაემტკიცებინა და იქ ქრისტიანული განათლება გადმოენერგაო; მიიღორა მფარველობა აღმოსავლეთის ქრისტიანებზე, რუსეთი არ აკლებდა მათ მე-XVI—XVIII საუკუნოებში ძმურს ქრისტიანულ დახმარებას, რასაკვირველია, შეძლებისამებრ. რუსთ მეფეს მთელი აღმოსავლეთი და მათ შორის საქართველოც კეისრად უწოდებდა; წვადაგვაში, მტერთან ჭლეტაში, გოდება-ვაებაში მას რუსეთის იმედი ჰქონდა, იმთავიდანვე საყოველთაო რწმენა იყო გავრცელებული, რომ ერთ-მორწმუნე რუსეთი დაიხსნიდა მუსულმანების მბრძანებლობისაგან ქრისტიანებს. საქართველოს იმედი არ გაუცრუვდა,—სთქვა ლექტორმა—სისხლის ღვრა შესწყდა და საქართველოში დამყარდა მყუდროება და მშვიდობიანობა.

ქართველი ხალხი დარწმუნებული იყოვო,—განაგრძო ლექტორმა,—რომ რუსეთი დააფასებდა მის თავ-განწირულებას ქრისტიანობის დასაცველად, დააფასებდა მას, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მტერს კრიჭაში უდგა, ცალი ხელით ხმალს იქნევდა მტრის მოსაგერებლად და მეორე ხელით უფალს ადიდებდა; დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი დააფასებდა იმას, რომ რამდენჯერმე დაიხსნა საქართველომ ევროპა აღმოსავლეთის მტარვალთაგან; საქართველო წინ უხვდებოდა მათ, ვაჟკაცურად ებრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, ასუსტებდა მათ და ამით არ აძლევდა საშუალებას ევროპისაკენ გაელაშქრათ; იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი დააფასებდა მის მდიდარ და დიდებულს ისტორიულს წარსულს, იმედი ჰქონდა და არც მოსტყუვდაო.

რუსეთის მეოხებით საქართველოში დამყარდა მშვიდობიანობა და ხალხი ხარბად დაეწაფა სწავლა-განათლებას. რუსეთის თავ-გამოდებითი მფარველობა აღმოსავლეთ ქრისტიანობის მიმართ იმას გვიჩვენებს, რომ მას კარგათ აქვს შეგნებული ქრისტეს მცნება და ეს-კი იმის მომასწავებელია, რომ მას მოელის დიდი მომავალი მსოფლიო ცხოვრების სარბიელზეო. ყველა ქვეშევრდომი რუსეთისა ცხადათ ჰხედავს და დარწმუნებულია, რომ მის ენას, ეროვნულს ზნე-ჩვეულებას კანონიერს მფარველობას უწევს რუსეთი...

რუსეთის უმაღლესის მანიფესტების და ბრძანების თანახმად სწავლა ჩვენს საეკკლესიო სკოლებში სწარმოებს ქართული ენის შემწეობით. ქართულ ენასაც საპატიო ადგილი აქვს მათში დათმობილი... ქართული ენა საქართველოს ქრისტიანობის ენაა; ამ ენაზე ჩვენი წინაპრები ღმერთს ადიდებდნენ, ამ ენაზე ლაპარაკობდნენ შესანიშნავი ისტორიული გვამები, ეს ენა—ენაა წმ. მოწამეთა, კეთილმსახურთა მეფეთა, მწყემსთ-მთავართა, მეუდაბნოეთა და ღირსთა მამათა... ამ ენამ დაიცვა მართლ-მადიდებლობა წმინდათ და შეუცვლელად; ეს ენა ყოველი ქართველის სიამაყეა, დიდება, წმიდა წმიდათა; აქედან ცხადია, თუ რა ფართო ადგილი უნდა ეჭიროს ქართულს ჩვენს სკოლებში და კიდეც უჭერია სამრევლო სკოლებში. ამ ენაზე სწარმოებს საღმრთო სჯულის, ანგარიშის და სხვა საგნების პირველ-დაწყებითი სწავლება; რუსული ენის სწავლება ამ ენის შემწეობით ხდება. ეს ორი ენა ერთმანერთს არ უშლიან, არამედ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს: ბავშვების სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აღზრდას. პირველ გაკვეთილიდანვე იწყება სამრევლო სკოლებში სამშობლო ენის სწავლება, აგრეთვე რუსულისაც, მხოლოდ რუსულის სწავლება იწყება ესრედ წოდებულ ლექსიურ გაკვეთილებით, ზეპირად.

სამშობლო ენის სწავლება უნდა დაიწყოს ესრედ წოდებული მოსამზადებელი ვარჯიშობით (подготовительныя упражненія). ბავშვი სკოლაში ხამათაა, მას ყველაფერი უცხოთ ეჩვენება, ამისათვის რამდენიმე გაკვეთილი მასწავლებელმა სკოლის გაცნობას და სხვა-და-სხვა ვარჯიშს უნდა მოანდომოსო.

საჭიროა სწავლების საქმის კარ-

გად წასაყვანად ბავშვს სკოლამ ყურადღება და დაკვირვება გაუღვიძოს; აგრეთვე არც მოაზრება, მოფიქრება უვარგა ბავშვს, მათ კარგად ვერ გაუგიათ, მათ შორის რა ხდება და რას ლაპარაკობენ. მოსამზადებელი ვარჯიშობა ბავშვს მოსაზრება-დაკვირვებასთან გრძნობებს და უფრო-კი მხედველობას უხსნისო. ამდიდრებს სწორე და ნამდვილი შეხედულებით საგანზე, უმდიდრებს ჭკუას, გონებას, უვარჯიშებს მეხელობას და უხვს საზრდოს აძლევს. მაგრამ ისიც უნდა ვცნობდეთ მხედველობასო,— განაგრძო ლექტორმა,—რომ ბავშვები ერთნაირად მომზადებულები არ მოდიან სკოლაში; მათ არ შეუძლიათ თავისუფლად ლაპარაკი, გაუბედავები, მორცხვები არიან, სკოლას, როგორც სატანჯველს ადგილს, ისე უცქერიან. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მშობლებია დამნაშავენი, აქ-კი მასწავლებელია ვალდებული გაიგოს ბავშვის გონებრივი სიმდიდრე და თანახმად ამისა იმოქმედოსო.

შემდეგ ლექტორმა მოიყვანა ნიმუში, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს მოსამზადებელი ვარჯიშობა. საჭიროა ბაასის დროს ბავშვები მთელს პასუხს იძლეოდნენ, მინამ ლაპარაკში ენას გაიტეხავდნენო. მეორენაირი ვარჯიშობა ნახატების შემწეობით ხდება. მესამე ნაირად—პატარ-პატარა სტატიებს უკითხავს მასწავლებელი და წაკითხულს ბავშვები იმეორებენ თავის სიტყვით. მოსამზადებელი ვარჯიშობა შეიძლება სამს კვირამდის გაგრძელდესო. მხოლოდ ერთ გაკვეთილზე ნახატი აჩვენოს, მეორეზე სტატია უნდა უკითხოსო. ესაა მოკლეთ ბ. ფერაძის პირველ ლექციის შინაარსი ქართული ენის სწავლების შესახებ.

მ. ლიხელი

## ყურმოკრული საუბარი

— არ მიირთმევთ რომიან ჩაის!

—კი ბატონო, გასხლეთ! მაგრამ გეთაყვა, სიმდრის დადგმისთვის ნუ შეეწუხებით, მე რომს უჩაიოდაც გავსდებით.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან),

16 ივლისი.

**ნიუ-იორკი.** ზავის უმთავრესი პირობები, უეჭველია ასეთი იქმნება: ესპანია უარს ამბობს კუბას ბრძანებლობაზე; კუბას მცხოვრებლებს ნება ეძლევათ აირჩიონ სამუდამოდ როგორიც უნდათ მმართველობა, ამერიკის მფარველობით; ესპანია უეჭველად გადასცემს ამერიკას პორტორიკოს; ფილიპინის საქმე გადასწყდება კონფერენციისა ანუ კომისიის დახმარებით. ამერიკა. უეჭველია, მხოლოდ ერთს ფილიპეს კუნძულს მოითხოვს.

**ბერლინი.** თავადი ბისმარკის შესახებ ბევრ გვარი ხმები დადის. ეტყობა, ბისმარკი ძლიერ არის ავად.

**ვენა.** ხმები დადის, ვითომ გოლუხოვსკი სამსახურიდგან გადადგომას აპირობსო. გოლუხოვსკის მაგიერად ასახელებენ ბერლინის ელჩს სელიენს.

# განცხადებანი


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ტფილისის უძრავ მამულების პატრონთა საყურადღებოდ, რომ, საბჭოს ამ წლის 2 მარტის განჩინების თანახმად, დადგენილ 1898 წლის დაფასების დამატებითი გარდასახადი მამულზედ 1/16 %, რაც ჩვეულებრივის გარდასახადის 1/12 ნაწილს შეადგენს. გარდასახადის შესატან ვადად დანიშნულია ივლისის თვე და ვინც ამ თვეში არ შემოიტანს გარდასახადს, დაჯარიმებულ იქმნება დასაფასებელ გარდასახადის ვადაზედ შემოუტანლობისათვის დადგენილ დაჯარიმების წესისამებრ. (3—1)

## КЪ ВОПРОСУ
### О ПОДНЯТІИ ОБРАЗОВАНІЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულ მაღაზიას. (6—2)

ახლად გახსნილი
## სტამბა
## „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟების და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ
## ТИПОГРАФІИ
## „Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

მიიღება ხელის-მოწერა

## რუსულ-ქართულ
## ენციკლოპედიურ ლექსიკონ-ზე

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო ანზე, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვენის შესახებ, რომლიბიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160—200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის-მოწერით მარტო 12 მანეთი, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ. ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო ბანზე უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (5—3)

## ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „УРБЭНЪ“

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543. (50—17)